

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის
ოქმი №1

23.10.2017

ქ. რუსთავი

2017 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს 19 წევრი (დამსწრეთა სია თან ერთვის) და ექსპერტები, ასევე პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ დირექტორის მრჩეველი ბ-ნი რევაზ ბარბაქაძე და სხდომის წამყვანი (ფასილიტატორი) ბ-ნი პავლე თვალთაძე.

დღის წესრიგი:

1. გახსნა;
2. საბჭოს წევრების გაცნობა;
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანის არჩევა;
4. საბჭოს მუშაობის ფორმატი;
5. სასწავლო პროგრამით ჩეხეთის რესპუბლიკაში მყოფი დელეგაციის წევრების მიერ გამოცდილების გაზიარება საბჭოს სხვა წევრებისათვის (დისკუსია, კითხვა-პასუხი).

საბჭოს სხდომა გახსნა და წევრებს სიტყვით მიმართა ბ-ნმა რევაზ ბარბაქაძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საბჭოს საქმიანობასა და მისი მუშაობის პრინციპებზე, რის შემდეგაც შეხვედრა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით. სხდომა მიჰყავდა ფასილიტატორს, რომელმაც საშუალება მისცა დამსწრეებს წარედგინათ საკუთარი თავი და გამოცდილება. მცირე პრეზენტაციების შემდეგ დელეგატები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში, კითხვა-პასუხის რეჟიმის ფარგლებში. სხდომის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ინფორმაციული წვდომა და მისი გავრცელება, ინფორმაციულ საფუძველზე საზოგადოების ჩართულობის ზრდის მექანიზმებზე მსჯელობა. საბჭოს წევრებმა ქ.-ნი ლიანა ჩარკვიანისგან მიიღეს შეთავაზება ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებად „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“-ს პლატფორმა გამოიყენონ. თავისი გამოცდილება ასევე გაუზიარეს ბ-ნმა უჩა ვარამაშვილმა და ბ-ნმა იმედა ვარდიანიშვილმა. მათ დელეგატებს ურჩიეს, რომ პრიორიტეტების განსაზღვრისას იყვნენ თანმიმდევრულნი და პრობლემას შეხედონ უფრო გლობალური კუთხით.

ფასილიტატორმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაციას, რომ საჭიროა სხდომების ოქმების შედგენა და ამისთვის მდივნის არჩევა. მოხდა საბჭოს მდივნის არჩევა, დელეგატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (18 წევრმა) მხარი დაუჭირა ნუკრი რამიშვილის კანდიდატურას და აირჩიეს აღნიშნულ პოზიციაზე.

საბჭოს სხდომის დასასრულს სასწავლო ტურის მონაწილე დელეგატებს მიეცათ შემდეგი სახის დავალება: ჩეხეთის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს განხილული საკითხების რუსთავის მაგალითზე გადმოტანა, გაანალიზება და გადაჭრის გზების მათეული ხედვის შემოთავაზება.








საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N1

23 ოქტომბერი, 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	მ. კვიციანი
ამირან მეგრელი	ამ. მეგრელი
ლელა კეთილაძე	ლ. კეთილაძე
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	გ. მ.
გვარამაძე მარინა	მ. გვარამაძე
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	ნ. ნადირაძე
მალხაზ რაზმაძე	მ. რაზმაძე
ფიქრია ბირთველიშვილი	ფ. ბირთველიშვილი
გვი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	რ. ბერაძე
სოფო კონჭოშვილი	ს. კონჭოშვილი
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	რ. შალიკაშვილი
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	ლი. კობახიძე